„ჩინგუტი საქართველოა, სიმღერა ჩვენ ვართ ყველაო“

ყოლხეთი

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2020 წელი • №5 (9477) • 1-15 მარტი • ფასი 50 თეთრი

მუნიციპალიტეტის მერიაში

საქართველოს პრეზიდენტი სენაკში

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, სამეგრელოში ვიზიტის ფარგლებში, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულთან ალექსანდრე მოწერელიასთან ერთად, 10 მარტს სენაკს ესტუმრა. საქართველოს პრეზიდენტი, სახელმწიფო რწმუნებულთან და სენაკის მუნიციპალიტეტის მერთან ლევან კუპრეიშვილთან ერთად, თეკლათის ადმინისტრაციული ერთეულის გოლასკურის უბანში, საქართველოს მეფუტკრეთა გაერთიანების თავმჯდომარეს ალეკო პაპავასა და მცირე მეწარმეებს შეხვდა. მეფუტკრეთა გაერთიანების თავმჯდომარემ პრეზიდენტს უნიკალური ქართული თაფლის წარმოების 7000 წლოვანი ისტორია და დარგის განვითარების წინაშე მდგარი გამოწვევები გააცნო. მან, ქართული თაფლის წარმოების, პოპულარიზაციისა და რეალიზაციის საქმეში, რომელიც, საქართველოს მეფუტკრეთა გაერთიანების საქმიანობის ძირითადი ამოცანაა, პრეზიდენტს მხარდაჭერა სთხოვა. ვიზიტის ფარგლებში, ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდალი, სენაკის მეორე ქვეითი ბრიგადის ბაზაზე სამხედრო სწავლებას დაესწრო. პრეზიდენტმა ბაზაზე საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ მეომართა მემორიალი გვირგვინით შეამკო და აღნიშნა, რომ ჩვენი ქვეყნისა და სახელმწიფოს სიძლიერე ქართულ ჯარზე დგას. დასავლეთ სარდლობის სარდალმა პოლკოვნიკმა ჯონი ტატუნაშვილმა, საქართველოს პრეზიდენტს, დასავლეთ სარდლობის შემადგენლობა წარუდგინა და სარდლობის ისტორიისა და ამოცანების შესახებ, საინფორმაციო ბრიფინგის სახით მიაწოდა ინფორმაცია. იმ დღესვე, საქართველოს პრეზიდენტმა, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულთან ალექსანდრე მოწერელიასთან, სენაკის მუნიციპალიტეტის მერთან ლევან კუპრეიშვილთან, მერის პირველ მოადგილესთან გრიგოლ ბაღათურიასთან და მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილთან ერთად, აკაკი ხორავას სახელობის სენაკის სახელმწიფო დრამატულ თეატრში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა, რომელიც უკვე აქტიურ ფაზაშია. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სრული რეაბილიტაცია ფონდ ,,ქართუს'' მხარდაჭერით ხორციელდება და თავისი მასშტაბით უპრეცენდენტოა თეატრის ისტორიაში. ვიზიტის დასასრულს, საქართველოს პრეზიდენტმა პატივი მიაგო საქართველოს ეროვნული გმირის ჟიული შარტავას ხსოვნას და მისი ბიუსტი გვირგვინით შეამკო.

84 წელი აფხაზეთის ომში დაღუპული გენო ადამიას დაბადებიდან...

მშობლიურმა ქალაქმა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული, ქვეყნის სიყვარულით გულანთებული თანაქალაქელის, გენო ადამიას ხსოვნას პატივი მიაგო. 8 მარტს, აფხაზეთის ომში გმირულად დაღუპულ გენერალ-მაიორს 84 წელი შეუსრულდებოდა. გენო ადამიას ბიუსტი ყვავილებით შეამკეს სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა, მერის პირველმა მოადგილემ გრიგოლ ბაღათურიამ, მერის მოადგილემ კახაბერ კუპრეიშვილმა, აფხაზეთის ა/რ მთავრობის, მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მერიისა და საზოგადოების წარმომადგენლებმა. გენო ადამიამ, შეიარაღებული კონფლიქტის დაწყების პირველივე დღიდან, მოხალისენი შემოიკრიბა. ის თანამებრძოლებთან ერთად ბოლომდე იბრძოდა, სოხუმის დაცემის შემდეგაც კი უარი თქვა დანებებაზე და მცირე ძალებით, მაგრამ მაინც ცდილობდა მტერთან გამკლავებას. 1993 წლის 28 სექტემბერს, გენო ადამია კოდორის ხიდთან მაშინ მოკლეს, როცა სოხუმში შესვლას ცდილობდა. ოთხი თვის შემდეგ, მისი ნეშტი, საქართველოში გადმოასვენეს და სამხედრო პატივით, ქართულ მიწას მიაბარეს. ჩვენი ქვეყანა და განსაკუთრებით, გმირების მშობელი ქალაქი, თავის გამორჩეულ შვილებს არასოდეს დაივიწყებს!

ჟიული შარტავას დაბადებიდან 76 წელი

,,წაუსვლელობა არ შეიძლება. სჯობს ამ ომს შევეწიროთ და მომავალი თაობა გადავარჩინოთ. ჩვენი თაობა ისედაც ვალშია მათ წინაშე"... „ბოლომდე ვიბრძოლებთ, ვიდრე შეგვიძლია და თუ სიკვდილი გვიწერია, არც ეს უნდა იყოს დიდი ტრაგედია. ისეთი ბიჭები იხოცებიან, რომ ძნელია ამის შემყურემ სიცოცხლეზე იფიქრო. რას იზამ, ბედისწერას ვერ გაექცევი." - ეს იყო საქართველოს ეროვნული გმირის, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, სენაკის გამორჩეული შვილის, ჟიული შარტავას უკანასკნელი სიტყვები... 7 მარტს, გმირის დაბადებიდან 76 წელი შესრულდა. წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სენაკის საკათედრო ტაძარში, დეკანოზმა იოანე კუპრეიშვილმა, ჟიული შარტავასა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი აღავლინა. სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა, მერის პირველმა მოადგილემ გრიგოლ ბაღათურიამ, მერის მოადგილემ კახაბერ კუპრეიშვილმა, აფხაზეთის ა/რ მთავრობის, მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მერიისა და საზოგადოების წარმომადგენლებმა ჟიული შარტავას ხსოვნას პატივი მიაგეს და ჩვენი დროის გმირი კიდევ ერთხელ გაიხსენეს.

სადეზინფექციო სამუშაოები

კორონავირუსის პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში, სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში, ხელოვნების ცენტრის სამუსიკო და სამხატვრო სკოლებში სადეზინფექციო სამუშაობი ჩატარდა. აღნიშნულ სამუშაოებს, შპს ,,ჰიგია", მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების, მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრებში, სამხატვრო გალერეაში, მუზეუმებსა და საჯარო ბიბლიოთეკაში ახორციელებს.

სადეზინფექციო სამუშაოების მიმდინარეობის პროცესს სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი, მუნიციპალური ა(ა)იპ-ების დირექტორებთან ერთად, გაეცნენ.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში

კორონავირუსის პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში, სენაკის მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სადეზინფექციო სამუშაოები ტარდება. შენობები და არსებული ინვენტარი სპეციალური ხსნარებით მუშავდება. ამ დროისთვის, სადეზინფექციო სამუშაოები მუნიციპალიტეტის 11 საჯარო და 6 კერძო სკოლაში დასრულებულია. სადეზინფექციო სამუშაოების მიმდინარეობის პროცესს სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია და მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი, საგანმანათლებლო რესურსცენტრის დირექტორთან დარეჯან ზარანდიასთან ერთად, გაეცნენ. სამუშაოებს შპს ,,პანაცეა+1" ახორციელებს. სადეზინფექციო სამუშაოები, სასწავლო პროცესის განახლებამდეც ჩატარდება. პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით შექმნილი საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში ამოქმედებულია საკოორდინაციო სამუშაო ჯგუფები მხარის რწმუნებულების ხელმძღვანელობით. დროებით სამუშაო ჯგუფში სახელმწიფო რწმუნებული, მერები, საკრებულოს თავმჯდომარეები, რესურსცენტრის, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები შედიან.

საკოორდინაციო ჯგუფებს კოორდინაციას რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი რეგიონალურ საკითხებში სოზარ სუბარი უწევენ. სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა საკოორდინაციო სამუშაო ჯგუფი საქართველოში კორონავირუსის პირველივე შემთხვევის დაფიქსირებისთანავე შექმნა, რომელსაც თავად ხელმძღვანელობს. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში მერიის სამსახურების ხელმძღვანელები, მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში, მუნიციპალური ა(ა).ი.პ-ებისა და შპს-ების დირექტორები და წარმომადგენლები შედიან.

(გაგრძელება მე-2 გვ-ზე)

მუნიციპალიტეტის ამბები (დასასრული)

მორიგი შეხვედრა

სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა, კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით შექმნილ საკოორდინაციო სამუშაო ჯგუფთან მორიგი შეხვედრა გამართა. მუნიციპალიტეტის მერმა მოისმინა დეტალური ინფორმაცია ვირუსის გავრცელების თავიდან აცილების კუთხით მიმდინარე და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. ამ ეტაპზე, სენაკის მუნიციპალიტეტის მასშტაბით, სადეზინფექციო სამუშაოები 27-ვე საბავშვო და ბაგა-ბაღში ჩატარდა. ამ დღეებში, კორონავირუსის პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში, ყველა საჯარო და კერძო სკოლაში, ასევე, სახელოვნებო და სპორტულ სკოლებში, ჩატარდება სადეზინფექციო სამუშაოები. სპეციალური ხსნარებით დამუშავდება საზოგადოებრივი დანიშნულების სხვა შენობა-ნაგებობები. სადეზინფექციო სამუშაოები ჩაუტარდება იმ სატრანსპორტო საშუალებებს, რომლებიც სკოლების მოსწავლეებს ემსახურებიან. სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა საკოორდინაციო სამუშაო ჯგუფი საქართველოში კორონავირუსის პირველივე შემთხვევის დაფიქსირებისთანავე შექმნა, რომელსაც თავად ხელმძღვანელობს. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში მერიის სამსახურების ხელმძღვანელები, მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში, მუნიციპალური ა(ა).ი.პ-ებისა და შპს-ების დირექტორები და წარმომადგენლები შედიან.

საინფორმაციო შეხვედრა

საქართველოს მთავრობა სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) მხარდაჭერით იწყებს პროექტის - „მერძეველობის დარგის მოდერნიზაციის და ბაზარზე წვდომის პროგრამა" განხორციელებას. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზში, სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) კოორდინატორებმა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში - მერაბ დანელიამ და გოგა ადამიამ, საინფორმაციო შეხვედრა გამართეს. შეხვედრას სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი, ადმინისტრაციულ ერთეულებში საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების უფროსი დალი შონია და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წამომადგენლები დაესწრნენ. „მერძეველობის დარგის მოდერნიზაციის და ბაზარზე წვდომის პროგრამას", რომლის მიზანია სოფლად ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა, სიღარიბის დაძლევა კონკურენტუნარიანი, მდგრადი და დივერსიფიცირებული მერძეველობის ინდუსტრიის განვითარების გზით, „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო" განახორციელებს.

მიწის რეგისტრაციის რეფორმის ფარგლებში

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზში, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა, მიწის რეგისტრაციის რეფორმის ფარგლებში, სამუშაო შეხვედრა გამართეს. შეხვედრას სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი რამაზ კუპრეიშვილი, მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში, ადგილობრივი თვითთმართველობისა და შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის უფროსმა გიორგი გადაბაძემ, დეპარტამენტის წარმომადგენლებმა თამარ თაქთაქიშვილმა და დიმიტრი მახათაძემ დეტალურად ისაუბრეს მიწის რეგისტრაციის სახელმწიფო პროექტისა და იმ საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ, რომლებიც მოქალაქეთათვის სარეგისტრაციო პროცედურების გამარტივებას ემსახურება და მას მაქსიმალურად ხელმისაწვდომს ხდის. საკანონმდებლო ცვლილებების მიზანი იმ სირთულეების აღმოფხვრაა, რომელთაც მიწის ნაკვეთების მფლობელები ქონების რეგისტრაციის პროცესში აწყდებოდნენ. კანონის თანახმად, მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის პროცედურა გამარტივდა; მოიხსნა ბარიერები, რომლებიც მესაკუთრეს ექმნებოდა. ახალი კანონი მიწის რეგისტრაციის პროცედურების გამარტივებასა და მესაკუთრის უფლებების დაცვაზეა ორიენტირებული. სამუშაო შეხვედრა დიალოგის რეჟიმში წარიმართა.

კორონავირუსის პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში

სენაკის საგანმანათლებლო რესურსცენტრის საკონფერენციო დარბაზში, მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი, საგანმანათლებლო რესურსცენტრის დირექტორი დარეჯან ზარანდია მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორთან ანა ჭიჭაღუასთან, ცენტრის ეპიდემიოლოგებთან - ლალი ავალიანთან, ნინო ოდიშარიასთან და შპს „პანაცეა+1" დირექტორთან ირმა საჯაიასთან ერთად, მუნიციპალიტეტში მოქმედი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორებსა და წარმომადგენლებს შეხვდნენ. სამუშაო შეხვედრაზე, კორონავირუსის პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში, ახალი რეკომენდაციები გაიცა. ამ ეტაპზე, სადეზინფექციო სამუშაოები ყველა საჯარო და კერძო სკოლაში დაწყებულია. როგორც ცნობილია, პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით, კორონავირუსთან დაკავშირებით მოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე, სასწავლო პროცესი 2-დან 16 მარტამდე უკვე შეწყდა ყველა საჯარო სკოლასა და სააღმზრდელო დაწესებულებაში. სასწავლო დაწესებულებებმა, პროფილაქტიკის მიზნით, უნდა ჩაატარონ სადეზინფექციო სამუშაოები, ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გაწერილი პროტოკოლის შესაბამისად.

მორიგი წარმატება

ქალაქ ქუთაისში, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ორგანიზებითა და FIND-ის მხარდაჭერით, სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას - „C ჰეპატიტზე სკრინინგით დადებითი პირების დაკავშირება შემდგომ დიაგნოსტიკურ კვლევებსა და მკურნალობაზე" დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი ამირან გამყრელიძე, FIND-ის პროექტების ხელმძღვანელი საქართველოში, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისა და საქართველოს მასშტაბით, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრების წარმომადგენლები, სოფლის ექიმები და დარგის ექსპერტები ესწრებოდნენ. აღსანიშნავია, რომ პირველად ჯანდაცვაში ინტეგრირებული სკრინინგის წარმატებით განხორციელებისთვის, სამეგრელოს რეგიონიდან ორი მუნიციპალიტეტი - სენაკი და წალენჯიხა დაჯილდოვდა. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალურმა დირექტორმა ამირან გამყრელიძემ, სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორს ანა ჭიჭაღუას მადლობის სიგელი გადასცა და შემდგომი წარმატებები უსურვა. მადლობის სიგელები ასევე გადაეცათ შპს „სენაკის მუნიციპალიტეტის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების" ხელმძღვანელს, მურმან ბოჯგუასა და ოჯახის ექიმს თეა სახოკიას.

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება

ლიტერატურული პრემია

ცნობილ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, ბორის დავითაიას კლასიკოსი მწერლის ალექსანდრე ყაზბეგის ლიტერატურული პრემია მიენიჭა

ბორის დავითაია 20 -ზე მეტი წიგნის ავტორია. მისი გახმაურებული დეტექტური რომანები „გამომძიებელი ქალი შორენა" გამოიცა 16 ნაწილად. დიდი ტირაჟებითა და განმეორებებით. სადაც ასახულია მე- 20 საუკუნის 80- 90 -იანი წლების ქაოსი. განუკითხაობა და უსამართლობა. ამიტომ გახდა ის პოპულარული და საინტერესო მკითხველთათვის. მწერალს აქვს სათავგადასავლო და ავტობიოგრაფიული რომანები, მათ შორის საყურადღებოა საქ. კათალიკოს პატრიარქის ამბროსი ხელაიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ნარკვევი „წამებული პატრიარქი„

ჩვენი რაიონისათვის მნიშვნელოვანია, რომ გამოსცა „სენაკის მატიანე", 700 გვერდიანი, სადაც მოკვლეულია მასალები ქალაქის დაარსებიდან დღემდე.

ბ. დავითაია ავტორია ისტორიული რომანისა „მზე ქარიშხალში", სადაც აღწერილია ეგრისის სამეფოს აღმავლობის ეპოპეა.

შემოქმედმა კალამი სცადა პუბლიცისტიკაში. აქვეყნებს გამოკვლევებსა და წერილებს მეცნიერულ, ლიტერატურულ და ყოფით საკითხებზე. უვლის მივიწყებული მწერლების გ. ჭალადიდელისა და ნ. დადიანის საფლავებს. საკუთარი სახსრებით გამოსცა გ. ჭალადიდელის ლექსების კრებული „რჩეული."

ეწევა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას.

2002 წელს, სამწერლო და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის დაჯილდოვდა „ღირსების ორდენით". 2003 წელს საბავშვო მოთხრობებისთვის მიეკუთვნა „უკვდავი აკაკი წერეთლის" ლიტერატურული პრემია. არჩეულია საერო აკადემია „აია" -ს ნამდვილ წევრად.

მიმდინარე წლის 4 მარტს მწერალთა კავშირმა მიანიჭა კლასიკოსი მწერლის ალექსანდრე ყაზბეგის ლიტერატურული პრემია. „უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებული პროზაული და პუბლიცისტური ნაწარმოებებისთვის. შემოქმედებითი აქტიური მოღვაწეობისათვის "

ვულოცავთ და ვუსურვებთ მომავალ წარმატებებს ბორის დავითაიას.

საუბრობენ გაწეულ საქმიანობაზე

ნომრის სტუმრები არიან მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები მაია ადამია და მირანდა მირცხულავა. ისინი დედის და ქალთა დღეებს ულოცავენ ქალბატონებს და მოკლედ საუბრობენ განვლილ პერიოდში გაწეულ საქმიანობაზე.

1. ხართ თუ არა თქვენ როგორც დეპუტატი, პრობლემების მოგვარების საქმეში საზოგადოების, თქვენი ხალხის, ამომრჩევლის გვერდით?
2. რა პრობლემების დაყენება და მოგვარება შეძელით განვლილ სადეპუტატო პერიოდში?
3. როგორ ახერხებთ საოჯახო ბიუჯეტის განკარგვას და განაწილებას?
4. მარტში აღინიშნება დედის და ქალთა დღეები, რას უსურვებთ დედებს და საერთოდ ქალბატონებს?

მაია ადამია - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი

1. რა თქვა უნდა, და ეს ასეც უნდა იყოს. დეპუტატი ყოველთვის ამომრჩევლის გვერდით დგას. მისი პირდაპირი მოვალეობაა იყოს შუამავალი მასსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის.

2. განვლილ სადეპუტატო პერიოდში, თეკლათის თემის მოცხოვრებელთა მიერ წამოჭრილი არაერთი საკითხი იქნა განხილული და შესაბამისი სამსახურების უშუალო ჩარევით მოგვარდა კიდეც. უნდა აღინიშნოს, რომ შავი საფარი დაიგო ტყირის (3 კმ), რეკის (1,8 კმ) და გოლასკურის (6,7 კმ)უბნებში. რეკის უბანში შემოკავებულ იქნა საყანე და საძოვრისათვის განკუთვნილი ტერიტორია. ტყირის, გოლასკურისა და საგვარამიოს უბნებში ამოიწმინდა სანიაღვრე არხები. რეკის უბანში მოეწყო ცხაური. ქვით შემოკავდა გოლასკურის ცენტრის ტერიტორია, მოიხრეშა იქ არსებული ჭაბურღილის მიმდებარე ტარიტორია, რეაბილიტაცია ჩაუტარდა მგზავრთა მოსაცდელს. გარეგანათება დამონტაჟდა ტყირისა და გოლასკურის უნბეში.

3.საოჯახო ბიუჯეტის განკარგვასა და განაწილებას შეძლებისადაგვარად ვახერხებ.

4. ყველა დედასა და ქალბატონს დიდი სიყვარულით ვულოცავ გაზაფხულის ამ ლამაზ დღეებს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და გაზაფხულივით ლამაზი დღეების სიმრავლეს.

მირანდა მირცხულავა – მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე

1. იყო საკრებულოს წევრი, ეს ნიშნავს პასუხისმგებლობას საკუთარი ამომრჩევლის წინაშე. მე ვარ და ვიქნები მათ გვერდით, რადგან ეს არის პრინციპული მიდგომაა ჩემთვის. როდესაც ხალხი გიცხადებს ასეთ ნდობას, შენც თავისთავად ვალდებული ხარ იყო მათ სამსახურში.

2. მე, როგორც საკრებულოს ოპოზიციული პარტიის დეპუტატი, ხშირად მომმართავენ სენაკში მცხოვრები მოქალაქეები მათი პრობლემის მოგვარების მიზნით. ჩემი შესაძლებლობების ფარგლებში ვეხმარები და მომავალშიც დავეხმარები გარკვეული პრობლემის მქონე თანაქალაქელებს. მართალია, პოლიტიკური სტატუსის გამო, შესაძლოა ამისათვის საკმარისი ბერკეტი არ გამაჩნია, მარგამ შესაბამისი სამსახურების მიმართვისა და მათთან შუამდგომლობის საფუძველზე შესაძლებელი გახდა გზების, გარეგანათებისა და სოციალურად დაუცველთათვის პრობლებური საკითხების მოგვარება.

3.დღევანდელ პირობებში, როცა ქვეყანაში მდგომარება არასახარბიელოა, როდესაც ფასები პროდუქტებზე, პირველადი მოხმარების ნივთებსა და წამლებზე დღითდღე იზრდება, რთულია გაუმკლავდე შენს წინაზე მდარ პრობლემებს, ამას კი საოჯახო ბიუჯეტი თავისთავად ვერ გაწვდება.

4. სიმბოლურია, რომ დედის დღე გაზაფხულის დასაწყისშია. მინდა, მთელი გულით მივულოცო ყველა დედას და ქალბატონოს 3 და 8 მარტი. მჯერა, სანამ დედაშვილობის მარადიული გრძნობა არსებობს, მუდამ იარსებებს დედამიწა. მინდა ვისურვო ერთიან და ძლიერ საქართველოში ცხოვრება.

მოამზადა მარიკა მიქაბერიძემ

ძვირფასო ქალბატონებო!

უპირველეს ყოვლისა, უდიდესი პატივისცემით, ბედნიერებისა და წარმატების სურვილით, გილოცავთ დედის დღეს. დაფასებული ყოფილიყოს თქვენი შრომა და ამაგი. დედობა უდიდეს ბედნიერებასთან ერთად უდიდესი პასუხისმგებლობა და მრავალი უძილო ღამეა შვილებისთვის ნათენები. დამეთანხმებით ეს ნამდვილი გმირობაა. ამ თავგანწირვის საპასუხოდ კი მინდა გისურვოთ წარმატებული და საიმედო შვილები, ჯანის სიმრთელე და უზრუნველი სიბერე.

საუკუნეზე მეტია, რაც მსოფლიო მასშტაბით აღინიშნება 8 მარტი, როგორც ქალთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე. მინდა ყველა ქალბატონს მივულოცო გაზაფხულის ეს ლამაზი დღესასწაული, რომელიც ქალთა უფლებების დაცვის სიმბოლური გამოხატულებაა.

საქართველოში ისტორიულად ყოველთვის დაფასებული იყო ქალის როლი საზოგადოებაში, მაგრამ დღევანდელ გამოწვევად მაინც რჩება გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა და ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება. სამწუხაროდ ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტებმა- იმატა, სწორედ ამიტომ ჩვენი ყველას ვალია ჩავერთოთ „ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში" და ერთად შევქმნათ თანასწორი გარემო.

პატივისცემით, თათია ჯინჯოლავა,
სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინ-
ფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე თათია ჯინჯოლავა

როცა ირგვლივ სიმშვიდე და სიყვარულია

წელიწადის უმშვენიერესი დრო შემობრძანდა თავისი სილამაზითა და სინაზით, ახლის დასაწყისით, იმედითა და სიხარულით.

ჩვენი ნომრის სტუმარია - ახალგაზრდა ექიმ-ენდოკრინოლოგი მონიკა ნანეიშვილი.

მონიკა დაიბადა ქ. ქუთაისში 1991 წლის 3 ივლისს. სწავლობდა ქ. სენაკის №1 საჯარო სკოლაში 1997-2005 წლებში, 2006-2009 წლებში კი - კერძო სკოლა მარიოტაში. დაამთავრა მედალზე. სწავლობდა სენაკის სამუსიკო სკოლაში შვიდწლედში და შემდგომ სამუსიკო ათწლედში, რომლებიც დაამთავრა წარჩინებით.

2009 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მედიცინის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 2015 წელს. იყო პრეზიდენტის სტიპენდიანტი. 2016-2019 წლებში სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერიტეტის რეზიდენტურაში ენდოკრინოლოგიის მიმართულებით.

2019 წლიდან მშობლიურ ქალაქში დაბრუნების შემდეგ მუშაობს შპს. სენაკის ამბულატორიულ -პოლიკლინიკურ გაერთიანებაში და შპს. სენაკის საავადმყოფო-პოლიკლინიკურ გაერთიანებაში ექიმ -ენდოკრინოლოგად.

რედაქციამ რამდენიმე კითხვით მიმართა მონიკა ნანეიშვილს.

დამეთანხმებით ალბათ, რომ გაზაფხული ასოცირდება ქალთან. რა ემოციებისა და დატვირთვის მატარებელია თქვენთვის წელიწადის ეს დრო?

გაზაფხული წელიწადის მართლაც უმშვენიერესი დროა, რომელსაც კიდევ უფრო ამშვენებს ქალთა ლამაზი დღესასწაულები, რითაც მარტი გვანებივრებს.

თქვენ როგორც რეალიზებული თქვენს პროფესიაში, რას ეტყოდით და რა რჩევას მისცემდით იმ ქალბატონებს, რომელთაც არ გაჩნიათ პროფესია და მხოლოდ საოჯახო საქმეებით არიან დაკავებული. როგორ ფიქრობთ რა არის საჭირო იმისათვის, რომ ქალი ერთნაირად წარმატებული იყოს როგორც თავის საქმიანობაში ასევე პირად ცხოვრებაში?

ვთვლი, რომ რთულია ასეთ საკითხში რჩევის მიცემა, მაგრამ ზოგადი ფორმულა წარმატებისა არის კეთილსინდისიერად მუშაობა საკუთარ თავზე, რომელიც აუცილებლად დაგვეხმარება დასახული მიზნის მიღწევაში. რაც შეეხება დიასახლისებს, მიმაჩნია, რომ ეს შრომატევადი და დასაფასებელი საქმიანობაა. მივესალმები ისეთ ქალბატონებს, რომლებიც ახერხებენ პირადი კარიერა ჰარმონიულად შეუთავსონ საოჯახო საქმიანობას. საბედნიეროდ ბევრი ასეთი ქალბატონია ჩვენს ირგვლივ.

ყველა ადამიანს აქვს ძლიერი და სუსტი მხარეები. თქვენს შემთხვევაში რას თვლით თქვენს ძლიერ და სუსტ მხარედ?

საკუთარ თავზე რთულია საუბარი, მაგრამ მაინც შევეცდები გიპასუხოთ. ჩემი დადებითი და ძლიერი მხარე არის - შრომისმოყვარეობა, რაც შეეხება ჩემს სუსტ მხარეს - არასოდეს ვნებდები და ვებრძვი უსამართლობას...

რამ განაპირობა თქვენი პროფესიული არჩევანი?

ჩემი პროფესიული არჩევანი განაპირობა დიდმა სურვილმა დავეხმარო ადამიანებს ჯანმრთელობის შენარჩუნებასა და სიცოცხლის გახანგრძლივებაში. რაც შეეხება თვისებებს ბავშვობიდანვე ვიყავი შრომისმოყვარე და მიზანდასახული, ასევე დედის პროფესიიდან გამომდინარე ხშირად მიწევდა პაციენტების გარემოში ყოფნა და ძალიან მომწონდა ექიმობა

ადამიანის ცხოვრებაში ყველაზე ლამაზი ბავშვობის წლებია. როგორ გაიხსენებდით თქვენს ბავშვობას?

ბავშვობის წლები მართლაც ყველაზე ლამაზად მოსაგონარია. ჩემს თაობას რთულ პერიოდში მოუწია ბავშობის წლებმა, მაგრამ მიუხედავად სირთულეებისა სიხალისე და ურთიერთპატივისცემა ჭარბად იყო. განსაკუთრებით ლამაზად მაგონდება მუსიკალურ სამყაროში გატარებული წლები, რომელმაც ბევრი სიხარული შემატა ჩემს ცხოვრებას, ისე რომ დღემდე ვერ ვშორდები მუსიკას...

და ბოლოს... რას უსურვებთ ქალბატონებს?

ყველა მანდილოსანს განურჩევლად ეროვნებისა და სტატუსისა ვუსურვებ პირველ რიგში მშვიდობას, ჯანმრთელობასა და ბედნიერებას, რადგან ქალი მხოლოდ მაშინ არის ბედნიერი, როცა მის ირგვლივ სიმშვიდე, სიყვარული და ურთიერთგაგებაა. სწორედ ასეთ ცხოვრებას ვუსურვებ ყველა ქალბატონს.

რედაქცია უპირველესად ახალგაზრდა ექიმს ულოცავს მარტის დღესასწაულებს, უსურვებს წარმატებულ პროფესიულ კარიერას და ბედნიერ მომავალს.

მოამზადა მ. ბაღათურიამ

როცა ყვავილებს ჩუქნიან...

გაზაფხულია, მარტი -კვირტების სკდომა, იების ჭიატი ნაზამთრალ ბუჩქებში. იღვიძებს ბუნება, მწვანე ტალღებად მოღელავს სიცოცხლე, თბილი დღეებით იხუნძლება შემოგარენი. გაზაფხულის ძალუმ სუნთქვას დედის, ქალის სინაზე, სითბო და სილამაზე ახლავს თან. იგი ქალივით თბილი და მოალერსეა. ქალი სიცოცხლის საწყისია, მაგრამ უპირველესად დედა, უსაზღვროა დედის ღვაწლი და ამაგი. ამბობენ დედას ეროვნება არა აქვსო.

კდემამოსილება, სითბო და სილამაზე თანხვედრია ჩვენი რესპონდენტი ქალბატონისათვის. ეს ქალბატონი, ეროვნებით ბერძენი, სენაკელების რძალი ია ტომაშია. როგორც თვითონ ამბობს, საქართველოში ჩამოსულა მისი ბაბუა და მას შემდეგ აქ დარჩენილან. ია დაიბადა ქუთაისში, დაამთავრა ქუთაისის № 9 რუსული საშუალო სკოლა. სწავლა გააგრძელა ხარკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი. დაამთავრა აღნიშნული უნივერსიტეტის ქიმიისა და ფარმაციის ფაკულტეტი. ხარკოვში სწავლის პერიოდში თავისი ცხოვრება დაუკავშირა სენაკელ მალხაზ ჩალიგავას, რომელიც ასევე ხარკოვში ღებულობდა უმაღლეს განათლებას. ჰყავს ვაჟიშვილი გიორგი ჩალიგავა, რომელიც წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის VI კლასის წარმატებული მოსწავლეა.

ქალბატონ იას ძალიან უყვარს თავისი პროფესია, იგი წლებია ემსახურება ემსახურება საყვარელ საქმეს და წარმატებულად უთავსებს ერთმანეთს დედობასა და პროფესიულ საქმიანობას.

მუშაობა დაიწყო პსპ–ს აფთიაქში ფარმაცევტად. შემდეგ გადავიდა ფარმადეპოში. ამჟამად ნინო წმინდას №1–ში მდებარე აფთიაქ ფარმადეპოს მენეჯერია. თავის კოლეგებთან ერთად, კეთილსინდისიერად ემსახურება მოსახლეობას.

კმაყოფილი მოსახლეობისაგან ხშირად გაიგებთ: ფარმადეპოში კარგად გემსახურებიან და რჩევადარიგებასაც არ დაიშურებენო.

როგორც ყველა მანდილოსანს იასაც ძალიან უყვარს 3 და 8 მარტის დღესასწაულები, მოსწონს როცა მისთვის საყვარელი მამაკაცები: მეუღლე და შვილი განსაკუთრებული ყურადღებითა და საჩუქრებით ანებივრებენ. უყვარს ყვავილებს რომ ჩუქნიან.

– ეს ორი ულამაზესი თარიღი ამშვენებს გაზაფხულის პირველ თვეს. მე უპირატესობას დედის დღეს ვანიჭებ, რადგანაც დედა ჩემთვის წმინდა არსებაა, რომელმაც გაიზიარა ჩვენი სიხარული, წარმატებები, წინააღმდეგობები, ჩვენს გამო გაუძლო არაერთ ტკივილს, განსაცდელს

მიყვარს სიურპრიზები. ყველაზე მეტად კი გიორგის ეხერხება ჩემი გაკვირვება. წელს კედლის კალენდარი მომართვა, ჩვენი სურათებით. გიორგი კარგად სწავლობს, წარმატებით მონაწილეობს სხვადასხვა კონკურსებსა და ოლიმპიადებში და ამაზე კარგი საჩუქარი ჩემთვის არ არსებობს. –ამბობს ქალბატონი ია. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ყველა დედას, ყველა ქალბატონს, განსაკუთრების გაზეთ ,,კოლხეთის" კოლექტივს მივულოცო გაზაფხულის ეს ლამაზი დღესასწაულები, ვუსურვო მათ ლამაზი დღეების სიმრავლე.

გაზაფხული მოვიდა და ერთხელ კიდევ გვაჩუქა დედისა და ქალის დღეები, გაზეთი ,,კოლხეთი" დიდი პატივისცემითა და სიყვარულით გილოცავთ ამ დღესასწაულებს. გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, პროფესიულ წინსვლას და ოჯახურ ბედნიერებას.

მ. გერგაია

მსოფლიო ისტორიის რიგითი შემოქმედი

(ეძღვნება ბაბუაჩემის - გიორგი გარუჩავას დაბადებიდან 100 და ფაშიზმზე გამარჯვების 75 წლისთავს)

ქვეყნის ისტორია არ არის მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურების, პოლიტიკური თუ საზოგადო მოღვაწეების, გამორჩეული ინდივიდების ცხოვრების, მათ მიერ განვლილი გზის ამსახველი დისციპლინა, მან უნდა აღმოაჩინოს და მოგვითხროს თითოეული იმ აგურის შესახებ, რომლითაც შენდება ესა თუ ის სახელმწიფო - სამხედრო მეთაური, მხოლოდ ბრძანებებს გასცემს, ის ნაკლებად ან თითქმის არ მონაწილეობს უშუალოდ ქმედების განხორციელებაში, მისი შემოქმედება დავალებებით შემოიფარგლება, პროდუქტს კი ფიზიკურად ქმნიან რიგითი ჯარისკაცები, მათ მხრებზეა ყველა ის ტვირთი, რასაც ეზიდებიან მოვლენათა მსვლელობისას, რომ მიაღწიონ მიზანს - მოიგონ ბრძოლა და იარონ ომში საბოლოო გამარჯვებისკენ. გავა წლები, ათწლეულები, დროის მონაკვეთი მიაღწევს საუკუნეს, დაალაგებს განვლილ ქაოსს, მოაქცევს მოვლენებს ჩარჩოებში და მოამზადებს ფაქტებს ობიექტური აღქმისათვის, ეს დროის ის ნაწილია, რომელიც უკვე განვლილი ისტორიის შედარებით სწორ მხარეებს გვიჩვენებს.. ასეთი რიგითი დადებული აგურია გიორგი გარუჩავას მოღვაწეობის ისტორიისა დაბადებიდან მის გარდაცვალებამდე. მისი ცხოვრების პერიოდიზაციაც სხვადასხვა ფორმაციის იყო - დაიბადა 1920 წელს ქალაქ სენაკში, როდესაც რესპუბლიკური საქართველო დამოუკიდებლობის მესამე წელს ითვლიდა, წელიწადიც არ იყო გასული, რომ სოციალისტური რევოლუციის ექომ პროლეტარული დიქტატურის ფორმით ჩვენამდეც მოაღწია და საქართველო მოაქცია საბჭოთა სახელმწიფოს საზღვრებში. მისი ბავშვობაც დროის გამოძახილის შესაფერი ქაოტური იყო - წყობილების ერთი ფორმაციიდან მეორეში გადასვლა, საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვა, სხვა სახელმწიფოში აღმოჩენა, თანადროული შიმშილი, მაგრამ ბავშვობისა და ყმაწვილკაცობის წლებმა გაუძლეს დროის გამოძახილს და ფონს გავიდნენ.

1939 წელს გაწვეულ იქნა სამხედრო სავალდებულო სამსახურში ლიტვის რესპუბლიკაში, ქალაქ კაუნასში. სულ მოკლე ხანში, საბჭოთა კავშირზე ფაშისტური გერმანიის თავდასხმის მომენტიდან (1941 წლის 22 ივნისი), მეორე მსოფლიო ომის მოვლენათა ეპიცენტრში აღმოჩნდა - მახსოვს მისი მონათხრობიდან, თუ როგორ დაირღვა საერთაშორისო წესრიგი მდინარე ნემანის ნაპირებზე, სადაც გერმანელი და საბჭოთა სამხედროები ერთად ტკბებოდნენ ჰიტლერსა და სტალინს შორის დადებული სამშვიდობო ხელშეკრულების ხანმოკლე შედეგებით. ასე აღმოჩნდა ჩრდილოეთის ფრონტზე, რა დროსაც ლენინგრადის (დღევანდელი პეტერბურგი) ბლოკადით გამოწვეულ მძიმე და სახიფათო მოვლენების უშუალო მონაწილე და ისტორიის დამწერი შეიქნა. იგი იბრძოდა ვოლხოვის ფრონტზე, როდესაც ფაშისტებმა ბლოკადაში მოაქციეს ლენინგრადი, ლადოგის ყინულოვან ტრასაზე, ,,სიცოცხლის გზა" რომ უწოდეს ლენინგრადელებმა, გიორგი გარუჩავას ,,თანაპოლკელებთან" ერთად ევაკუირებული ბავშვები და მოხუცები გადაჰყავდა დიდ მიწაზე. მაგრამ ეს მანამ, სანამ თავად არ მოექცნენ ალყაში. 1943 წლის იანვარში საბჭოთა არმიამ გაარღვია ბლოკადის რკალი და ვოლხოვის ფრონტის მებრძოლებმა 36-კილომეტრიანი რკინიგზის შტო გაიყვანეს, რითაც შექმნეს ზურგი საკმარი სურსათითა და საბრძოლო იარაღებით. ნევისპირა ქალაქის საბოლოო განთავისუფლებას, 1944 წლის დასაწყისში, წერტილი დაუსვა ლენინგრადის და ვოლხოვის ფრონტების მებრძოლების სტრატეგიულ-გმირულმა სამხედრო მანევრმა, ბალტიის ფლოტის თანამონაწილეობით. შემდეგ დაიწყო შეტევები დასავლეთით - ბაბუაჩემი მონაწილეობს ნოვგოროდისა და ლატვიის განთავისუფლებისათვის უთანასწორო ბრძოლებში, რასაც შედეგად მოჰყვა მისი მძიმედ დაჭრა, გამოჯამრთელების შემდეგ კვლავ ფრონტის ხაზზე ბრუნდება, ამჯერად გზა დრეზდენისა და ლაიფციგისაკენ მიემართებოდა, ეს იყო გზა ხალხთა თანადგომისა, სოლიდარობისა და ძმობისა, მიმართული მსოფლიოში მშვიდობის დასამყარებლად, ნუ გაიკვირვებთ, შეიძლება ხმამაღლად ჟღერს, მაგრამ ასეა - რიგითი ჯარისკაცის ოცნებაც ამ პრინციპს ემყარებოდა..

გიორგი გარუჩავას საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის გარკვეული ეპიზოდები არაერთი ჟურნალისა თუ წიგნის ფურცელზე აღიწერა, მაგალითისათვის მოვიყვან — 1941 წელის 24 სექტემბერს გაზეთ ,,პრავდაში" კორესპოდენტ უსტინოვის მიერ გაკეთებულ, მებრძოლ გიორგის სურთით ილუსტრირებულ წერილს, სადაც მოგვითხრობს მისი სამხედრო წარმატებების შესახებ, ასევე 1985 წელს მოსკოვის გამომცემლობამ ,,ИСКУССТВО"- გამოაქვეყნა ჟურნალისტის ალექსანდრე უსტინოვის წიგნი ,,ЛЕЙКОЙ" И БЛОКНОТОМ, რომელიც მიეძღვნა 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში გამარჯვების 40 წლისთავს, სადაც ერთ-ერთ ეპიზოდად საუბარია მის გმირობაზე.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, 1946 წელს დემობილიზებულ იქნა. 1950-იანი წლებიდან ერთვება აქტიურ სამოქალაქო ცხოვრებაში. მას როგორც ბუნებით ოპტიმისტს, განწყობით ახალგაზრდულს, იზიდავს მომავალ თაობასთან ურთიერთობა. პროფესიასაც შესაბამის ირჩევს, ამთავრებს ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტს. მისი ცხოვრების დიდი ნაწილი სასწავლო-აღმზრდელობით საქმიანობას უკავშირდება - 1947 წლიდან პენსიაზე გასვლამდე მუშაობდა ქ. ცხაკაიას (დღევანდელი სენაკი) N4 რუსულ საშუალო სკოლაში, ჯერ სამხედრო დისციპლინის, შემდეგ კი ისტორიის მასწავლებლად. მისი პედაგოგიური შემართება აღმზრდელობით დარგში მაღალ საფეხურს მისწვდა, იყო სკოლის დირექტორის მოადგილე.

გარდა აღმზრდელობითი შემართებისა, ის ბუნებით საზოგადო აქტივისტი იყო - 1960 წელს მისი ინიციატივით ჩამოყალიბებულ იქნა ვეტერანთა საბჭო, რომელიც მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა უფლებებისათვის ბრძოლის სულიერ და მატერიალურ დასაყრდენს წარმოადგენდა, მისი შემოქმედებითი ფანტაზია მხოლოდ ქაღალდით არ შემოიფარგლებოდა, მან საბჭოს ბაზაზე ჩამოაყალიბა კლუბ-მუზეუმი, სადაც მსოფლიო ომის ლიდერთა და რიგით მონაწილეთა არაერთი ისტორიული მასალა იყო აფიშირებული, თავადვე იყო ამ საბჭოს დირექტორიც და რიგითი გიდიც... ბაბუაჩემმა ორგანიზება გაუკეთა წიგნების ,,სენაკელები მეორე მსოფლიო ომში" სერიულ გამოცემას.

რა მოსატანია ამდენი ფორმალური ჯილდო? ყველაზე დიდი სიგელი ხომ თვით ომის ლაბირინთებში ფიზიკური ყოფნაა, ისტორიის შენი ხელით დაწერაა, მაგრამ გარეგნულ მხარესაც თავისი ხიბლი აქვს, ამიტომ ჩამონათვალს გავაგრძელებ: მეორე მსოფლიო ომში მონაწილეობისათვის მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები: სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენი, მედალი საბრძოლო დამსახურებისათვის, 10 საიუბილეო მედალი, ლენინგრადის განთავისუფლებისათვის სამკერდე ნიშანი და სხვა მრავალი სიგელი, იყო ლენინგრადის მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა საბჭოს საპატიო წევრი, 2001 წელს დაჯილდოვებულ იქნა ღირსების მედლით...

იცვლებიან თაობები, იცვლებიან მთავრობები, იცვლებიან სოციალური ფორმაციები, როგორც თავში ავღნიშნე, ბაბუაჩემი არაერთი სახელმწიფო მმართველობის, თუ სოციალური წყობის თანამედროვე აღმოჩნდა, შესაბამისად ქარიშხალსაც მისი გვერდის ავლით არ ჩაუვლია, იყო პერიოდი, როდესაც ისტორია გადაფასდა, ახლებმა ახლებურად აღიქვეს აწმყო - მეორე მსოფლიო ომის რიგითი ჯარისკაცები, რომლებიც სამშობლოს იცავდნენ, თურმე მტრის ბანაკში აღმოჩნდნენ, დაღვრილი სისხლი არაფრად ჩააგდეს, დამხობილ საბჭოთა მმართველობას ომის რიგითი ჯარისკაცის თავგანწირვა გადააყოლეს, დაუკარგეს მსოფლიო წვლილი. ამ ყველაფერს უკვალოდ არ ჩაულია ბაბუაჩემის ცხოვრებაში, გიორგი გარუჩავას უხდებოდა ბრძოლა ისტორიისა და რიგითი ჯარისკაცის დასაცავად, ისიც კი შეჰბედეს ამ ისტორიული მოვლენის ცოცხალ მატიანეებს, რომ თავიანთი ნავთსაყუდელის ვეტერანთა საბჭოს შენობის მუზეუმითურთ წართმევაც კი დაუპირეს, მაგრამ ბრძოლის შედეგმაც არ დააყოვნა, ალბათ სიმბოლურია, ეს ბუნებით მებრძოლი კაცი ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, ადამიანური ღირსებისა და სამხედრო პატივის გადასარჩენად ბოლო ხმლის მოქნევაც კი დასჭირდა.

ბაბუაჩემის საზოგადოებრივი მოღვაწეობა ჰარმონიაში იყო მის პირად ცხოვრებასთან, მან თავის მეს კერძო ყოფაშიაც არ უღალატა. ომის ,,ექმ" მის ოჯახურ ცხოვრებაზეც იქონია გავლენა, მან მომავალი მეუღლე ვალენტინა სერაგო გაიცნო და შემდგომ ცოლად შეირთო ჩრდილოეთის ფრონტზე ყოფნისას- ბელორუსიის რესპუბლიკაში მცხოვრები, დამწყები პედაგოგი, ბუნებით კეთილშობილი ქალბატონი, შედეგად ეყოლათ ორი ვაჟი: ალექსანდრე გარუჩავა (პროფესიით ექიმი, პირველი კატეგორიის ტრამვატოლოგი), მამაჩემი ვიაჩესლავ გარუჩავა (პროფესიით ინჟინერ-მშენებელი); შვილიშვილები: ალექსანდრეს ხაზით - დიმიტრი და ანდრეი გარუჩავები, ვიაჩესლავის ხაზით მაგდა გარუჩავა და თქვენი მონა-მორჩილი გიორგი გარუჩავა და შვილთაშვილები: ნატალია და ილია კირთაძეები.

მომავალი თაობები არ დავიწყებთ წინაპართა მიერ ჩაყრილ ფუნდამენტს, რომელიც არის პლაცდარმი მომავლისა, გავუფრთხილდებით ამ საყრდენს, რათა უკეთ ვიაროთ წინ!

გიორგი გარუჩავა

სარედაქციო კოლეგია

მთავარი რედაქტორი ნინო სართანია

რედაქტორი მედეა ბაღათურია

კორესპონდენტები: მაია გერგაია, მარიკა მიქაბერიძე

ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჟულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:

სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №103, ტელ: 276150

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.

ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში

რეგისტრაციის №56/7-17

გაზეთი კომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხოლი ენ"

ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33

ტელ: 223779,223711, 223499